Interior
Seeker

ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

ქ. თბილისი, სოფელი ლისი.
ს/კ - 01.72.58.020.073

შინაარსი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. კალენდარული გეგმა;
3. გრაფიკული ნაწილი

არქიტექტორი:
თამარ აბულაძე

შემსრულებელი:
ჯამათა აფაქიძე

1. განმარტებითი ბარათი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85-ის და “საქართველოს მთავრობის დადგენილება #255, მუხლი #18, 20”-ის თანახმად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისი, სოფელი თხინვალა, ს.კ: 01.72.58.020.073. ტერიტორია ხასიათდება მცირედი დახრილი რელიეფით.

პროექტით გათვალისწინებულია ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

შენობა ერთ სართულიანია რომლის მზიდი კონსტრუქციები გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვანი სისტემის სახით. კარკასის სვეტების განივი კვეთებია bxh= 30x30 სმ.

1.1 ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

- მიწის ნაკვეთის ფართობი: 600 მ^2;
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე: 0,3მ 0.00 ნიშნულის ქვევით და 3.90 მ 0.00 ნიშნულის ზევით.

1.2 სამშენებლო სამუშაოების ვადები:

საპროექტო ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად. ანალოგი გვ 478, პ.2 T=12.00 თვე, სადაც 1.00 თვე მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობაა. გვ 2 პ 11-ის თანახმად T=18.00+6.00=12.00 თვე. გვ 4 პ 17-ის თანახმად T=24.00X1.15=27.60 თვე, სადაც 1.00 თვე მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობაა.
მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:

- ტერიტორიის შემოღობვა დროებითი ღობით;
- დროებითი “ნაგებობების” დაყენება;
- საპროექტო ქსელების გაყვანა;
- სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან;
- სასაწყობო მოედნის გათვალისწინება;
- კონსტრუქციების და მასალების შემოტანა მოედანზე;
- სამშენებლო უბნის დროებითი განათება;
- ხანძრისგან დაცვის სისტემის მონტაჟი და შეერთება დროებით წყალსადენის ქსელთან.
-

1.3 სამშენებლო ტექნიკა

გრუნტის დამუშავება მოხდეს უკუჩამჩიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებული მოცულობის სრული გატანით. უკუჩაყრისათვის მოცულობა უნდა იქნას შემოტანილი. გრუნტის დამუშავება მოხდეს СНиП-III-4-80, ცხრ #4-ის თანახმად. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას 2 ცალი სამშენებლო ჯალამბარის და 1 ცალი სტაციონალური ბეტონის ტუმბოს საშუალებით. ბეტონის მიქსერის “დგომა” მოხდეს სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებში. იატაკის დონეზე, უსაფრთხოების თვალსაზრისით, გაკეთდეს ბადიანი საფარები.

1.4 უსაფრთხოების ტექნიკა

- ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.
- სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.
- საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.
- მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.
- გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.
- სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

1.5 გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად. როექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი (სამშენებლო მოედანი) რომელიც აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

- ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
- მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
- ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
- ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ბეტონის მიქსრეის საშუალებით. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა. მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

2. კალენდარული გეგმა

ეტაპები	სამუშაოთა ჩამონათვალი	დღე	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	VIII თვე	IX თვე	X თვე	XI თვე	XII თვე	XIII თვე	XIV თვე	XV თვე	XVI თვე	XVII თვე	XVIII თვე	XIX თვე	XX თვე	XXI თვე	XXII თვე	XXIII თვე	XXIV თვე
			10 20 31	10 20 30	10 20 31	10 20 30	10 20 31	10 20 31	10 20 30	10 20 31	10 20 30	10 20 31	10 20 31	10 20 28	10 20 31	10 20 30	10 20 31	10 20 31	10 20 30	10 20 31	10 20 30	10 20 31	10 20 30	10 20 31	10 20 31	10 20 28
	I რიგი – მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები																									
I	მოსამზადებელი სამუშაოები, ტერიტორიის შემოღობვა და დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა	15																								
II	შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება	5																								
	II რიგი – მშენებლობის განხორციელების ძირითადი სამუშაოები																									
III	ა) შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები; ბ) შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები; გ) შენობა-ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები; დ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე;	184																								
IV	ე) შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა; ვ) შენობა-ნაგებობების სახურავისა და გადახურვის მოწყობა; ზ) არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;	336																								
V	თ) შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; კ) შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები; ლ) მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები.	192																								

მშენებელი: ჯამათა აფაქიძე |12 ნოემბერი 2026 |

3. გრაფიკული ნაწილი



1. საპროექტო სახლი
2. სამშენებლო საწვეველა
3. დროებითი ღია სანყობი
4. ბეტონის მრევი
5. სტაციონალური ბეტონის ტუმბო
6. ჰიდრანტი
7. დროებითი საყარაულო
8. სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი
9. დროებითი საარმატურო
10. დროებითი საყალიბე
11. დროებითი ბიოტუალეტი

DESIGN ARCHITECT
SPAZIO DESIGN

Unnamed

SPAZIO
Design

A303

7